




მ. ვაბოლსკისა

### ფართოსაგან იხის

— მწარე ფიქრები არ მასვენებენ... აბისინია დავკარგე, ბერძნებთან თავი შევირცხვინე, იტალია გერმანელ ნაცისტების ახალშენად ვაქციე... ამოდ ვბაძავდი რომის განთქმულ იმპერატორებს. რა ვარ


### შთაგონების მეთოდი

გერმანელი ოფიცარი — როგორ გაბედეთ დაეჭვება ჩვენს გამარჯვებაში? აი შენი ჭკუის წამალი ახლა სომ გვეგრა! (მუშტს სთავსებს)



- 1 ფაშისტნი:—ფრიც, ამბობენ საბჭოთა კავშირში მრავალი ერი გაერთიანდაო. ჩვენში არ შეიძლება ხალხთა გაერთიანება?
- 2 ფაშისტნი:—რატომ არა, შეიძლება აი, ასეთ საკონცენტრაციო ბანაკში.

### ბითურკინდერი



ფაშისტს, პაულ ბითურკინდერს დაუძახეს ჯარში, და ფრონტისკენ გაისტუმრეს ფაშისტური მარშით. უთხრეს: პაულ, დარდი ნუ გაქვს, საბჭოეთთან ომი, მიიჩნე, ვითომ სამხრად გიჭამია ღომი,— წანვალ, საზღვარს გადალახავ, გაირბენ და პუბუზ, ხუთმეტ დღეში მოსკოვიდან დაიძახებ „კუკუს“, მოსკოვამდე, სოფლებია, ქალაქი თუ დაბა, იქ საშოვარს იმდენს ნახავ, რომ რაღა ვსთქვათ აბა? ოქროვერცხლი, სანოვაგე, პური, ერბო, ყველი, სადაც შეხვალ, წინ დაგხვდება, უხვი, თავსაყრელი, ხვეტე, პაულ, ძარცვის ნებას ფიურერი გვაძლევს,— ბრძოლაზე კი, არც შესწუხდე, აბა ჩვენ ვინ დავგვძლევს? სხვათაშორის, იცოდე, რომ წითელარმიელებს, ერთი მაგრა რომ შეუბერ, გადირბენენ ველებს. შოდა, რაკი ომი არის იოლი და სწრაფი,— დროც გექნება, საქაფავიც, შენც მოხადე ქაფი. —„ზერ გუტ“—სთქვა და ბითურკინდერს გაუბრწყინდა სახე,— და ის ლოცავს გუნებაში—„ფიურერის“ სახელს. ლოცავს, ვინც მას საბჭოეთთან იოლ ომს პირდება და რაც უფრო მთავარია — აძლევს ძარცვის ნებას...

\* \*

ბითურკინდერს ბედმა თავი ხელში შეაჩეჩა, მან საბჭოთა მიწა-წყალზე მოაღინა შველქა და ეს მართლაც „უბრალოდ“ და სულ იოლად მოხდა: მათი ურდო მშხამავ გველის წესით შემოხონდა, ვერაგულად, შემოპარვით, გადმოლახეს ზღვარი, მაშინ, როცა არ ელოდა მათ წითელი ჯარი. ბითურკინდერს, რა თქმა უნდა, მოეწონა ესა და იმავ დღეს, შინ წერილს სწერს (ასე ჰქონდა წესად): — „გავიმარჯვე, ამის გამო მსურს საღამო მოგცეთ, ვრცელ წერილს კი ხუთ-ექვს დღეში მოსკოვიდან მოგწერო“.

\* \*  
ხუთი-ექვსი დღე გავიდა, მას თვე მოჰყვა კიდევ, მაგრამ ეს რა ხათაბალა შეხვდა ბითურკინდერს? მოსკოვს წასვლა „გვიანდება“, მაგრამ ის სხვას ღელავს; არიელთა „უძლევ ლაშქარს“ ვინ არის რომ სთელავს? ვინ არის, რომ ჯოჯოხეთის რისხვას ატეხს თავზე, და ბზესავით ღეწავს გმირულ ვაჟკაცობით სავსე? ეს წითელი არმია? აი ხათაბალა! გამოდის რომ საბჭოეთში მათ წინ ხვდება ძალა? მათ კი აკი ფიურერმა სულ სხვა რამე უთხრათ: — „მარშით შევალთ და საბჭოეთს, დავიპყრობთო უცბად?“ რას ფიქრობდა, რა გამოდის, აბრუნდია ერთობ, კოვზს ნაცარში ჩავარდნილსა, რაღა მოუხერხოს? მცირე ნუგეშს, ბითურკინდერს ისღა აძლევს მხოლოდ რომ ნაძარცვი, ნაქურდალი შეიძინა ბოლოს, აგერ სახლი დაარბია, ეგერ მოკლა ბიჭი, იქ დუქნიდან მოიტაცა, შაქარი და ბრინჯი, და კიდევ სხვა „გმირულ ნადავლს“ მოუყარა თავი და გაუჩნდა მას ახალი საფიქრ „საზრუნავი“: ჩემოდანი რომ არა აქვს, სად ჩააწყოს ყველა, რაც ნაძარცვი, ნაქურდალი „გმირმა“ ჩაინელა?... და ამ ფიქრში როცა იყო, უცბად დაიგვრვინა, და „ფოლადის ჩემოდანი“ დაეცა მის წინა, დაეცა და დაიქუხა, ცეცხლი გადმოთოვა, და მტვერს შერთო არიელის ნაფლეთების გროვა...

\* \*

ყველას, ყველას ასე მტვრად და ნავლად ქცეულს ვნახავთ, ვინც საბჭოთა წმინდა მიჯნა, სამტროდ გადმოლახა.

როს დასავლეთ ევროპაში წარმატება ერგოთ მკვლევებს, საბჭოეთის დამონებაც მოესურვათ ფაშისტ გველებს. მაგრამ ბრძოლა წითელ ჯაროთან არ გამოდგა ჰალა-ჰალა, და პიტლერმა რიბენტროპსა მრისხანებით დაავალა:

— „მსურს ევროპა სულ მოლიანად გახდეს მონა ჩემი ნების, საბჭოეთზე საბრძოლველად მომცეს ჯარი „ჯვაროსნების!“ მან მორჩილად უბასუხა:

— „გწამდეს სიტყვა რიბენტროპის, რომ იბრძოლებს ჩემს მხარეზე ქალი, კაცი მთელ ევროპის!“ თავის მხრით კი დაუძახა მატყუარა ჰებელსს ხელად, და წავიდნენ „ჯვაროსანთა“ ჯარის შესაგროვებლად. ერთმა შევდმა ბერლინელმა, ბელგიელმა ბარე ორმა, სამმა ფრანგმა ნაძირალმა გადაიცივეს მხედრის ფორმა. ესპანეთშიც შეაგროვეს ლოთ-ჯიბგირთა მცირე ბანდა: ასე შესდგა ფაშისტური ლეგიონი „ჯვაროსანთა“. დაამწყრივეს „მებრძოლები“ ყველა ჯურის, ყველა ერთა. წინ წაუძღვენ ამაყად და მიიყვანეს „ფიურერთან“.

გაბღენძილი „ფიურერი“ შეეყარა იმათ შფოთით:


— „ასე რატომ მალოდინეთ, უფრო ადრე რად არ მოდიოთ? — კვლავ იკითხა — სულ ეგ არის „ჯვაროსნები“ ყველა ხალხთა?“

— „ღიახ ჩვენ ვართ! — უბასუხებს რაზმი იგი ნაძირალთა, — შენთვის ყველა თავს გაფორავთ, ჩვენ ვართ შენი ფეხთა მტერი!“

„რომ ფრონტიდან არ გაიქცენ, როცა მოვა მათი ჯერი — მიუყენეთ მაგათ მცველნი!“ — ბრძანებდა სცემს ფიურერი. ამ ბრძანების გაგონებით შედრკა გული „ჯვაროსანთა“, დაიძახეს: — „ჭკუისა გვეპირს, იღუბება ჩვენი ბანდა!“

გალი

დაპყრობილ სოფლები



— ჩაამწყვდიეთ, როგორც მესამე იმპერიათვის საშიში პიროვნება.



— რა მისწერე შენს ქმარს?  
 — მივწერე, რომ მისი კომბაინი მე ჩავიბარე და მოსავალი ვაღაზე ადრე ავიღე. შენ?  
 — მე მივსწერე, რომ მის დაზგაზე ახალი რეკორდი დავამყარე და საუკეთესო იარაღს ვამზადებ ფრონტისათვის.

გზაგადაღობა და ეგზადობა

ჭორების ბიუროში, რომელსაც რატომ-ღაც გებელსმა ინფორმაციური უწოდა, დიდი პანიკა ატყდა. ევროპის ყოველ კუთხიდან მოდიოდა ცნობა.

— წუხელ ქალაქის თვალსაჩინო ადგილებში, კედლებზე, ავტობუსზე, ყველგან ეხატა უზარმაზარი ასო „ვ“.\*) ველით ინსტრუქციას.

ფაშისტი მკლავნელები დაიბნენ. რას ნიშნავს ეს „ვინი“?

ამ დროს ბიუროში თვით გებელსი შემოვიდა. ყველა ფეხზე ადგა და ფაშისტური სალაში მისცა მას.

— შეადგინეთ საინფორმაციო ცნობა? — იკითხა გაბღენძილმა შეფმა. — ვნახოთ რა მოჩმახეთ დღეს.

— არ შეგვიდგენია... — წაილულულა მდივანმა. — უცნაური ცნობები მოგვდის ადგილებიდან.

— რა ცნობები?  
 შეფქორს უჩვენეს დებეშები „ვინის“ შესახებ.

— სად გამოჩნდა პირველად ეს ასო?  
 — პარიზში.

— ნახეთ ფრანგულ ლექსიკონში რა სიტყვებია „ვინზე“.

— ყველა წიგნი თქვენის ბრძანებით დასწვით...

— დაუძახეთ ფრიცს!  
 ფრიცა ფრანგული ენის სპეციალისტად ითვლებოდა ჭორბიუროში. ფრიცის შემო-

სვლისთანავე არყის სუნი დადგა ოთახში. გებელსი, რომელიც ახლახან მოვიდა გონზე კარგად მოზრდილი დოზა მორფის შემზახუნების შემდეგ, არყის სუნს ვერ იტანდა.

— სად გამოთვერი ამ დილა ადრიან? ფე! აბა წამოროში რა ფრანგული სიტყვები იცი ასო „ვინზე“?

— ვვვ... ვვინზე — უ? ამ წუთში. „ვენ“ ჩვენებურად ღვინო.

— შენ სულ ღვინო გახსოვს, ლოთო. სხვა წამოაყრანტალე.

— „ვილანი“ სისაძაგლე, სულმდაბლობა, ანდა „ვილ“ — საზიზარაი.

„ვიოლანს“ — ძალადობა. „ვიდე“ — გამოცლა. არ ვარგა? აბა „ვინეგრ“ — ძმარი... — არ ვარგა.

— „ვიკტიმ“ — მსხვერპლი.

— ვინ არის მსხვერპლი?  
 — ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენა ვართ იმათი მსხვერპლი... მოვლენ და ვაგვსრესენ... — სალახანა!.. წკებლა მაგას...

ბოლოჭორობდა ღვებელსი. ევროპაში კი ამაყად ანათებდა ლამაზი ფრანგული ასო „ვ“, რაც ნიშნავს „ვიკტიმ“ — გამარჯვება. ტელეგრაფისტები დებეშს ამ ასოთი იწყებენ: ... — სამი წერტილი და ტირე. რესტორანში ანტიფაშისტი სადილს ასე ითხოვს: დანით საინზე ურტყამს სამჯერ მოკლედ და ერთს ხანგრძლივად. მემანქანე, როცა დრექალაქს მიაღწევს, მიაკივლებს — სამჯერ წყვეტილად და ერთს ხანგრძლივად. ეს ნიშნავს:

— გწამდეთ და ემზადეთ! გამარჯვება ჩვენია!

\*) ფრანგული ასო „ვინი“ — ე. ი. სიტყვა „ვიკტიმის“ (გამარჯვება) პირველი ასო.



რუმინელი ბენეარალი: — ბატ! თქვენი... მე თქვენ გიგენებით როგორ უნდა დრონიდან გაქცევა.

1.

ორი ნოლის ისვორი

გერმანიის ფაშისტთა არმიის მთავარ შტაბში ცნობა მოვიდა:

„დღეს ჩამოვდებულ იქნა საბჭოთა 15 ყუმბარაშენი“.

სარდლობამ პიტლერის საბჭოელ ხეთმეტ რიგებს ნოლი მიუბატა და ამ რიგად 15, 150-ად გადაიქცა.

პიტლერის საინფორმაციო ბიურო გებელსის ზედამხედველობით ყველა ჩაუღვივდა საკითხს და საჭიროდ ჩასთავალა ერთი ნოლის მიმბატება. ამის შემდეგ ცნობა ასე იკითხებოდა:

დღეს ჩამოვდებულ იქნა საბჭოთა 1500 ყუმბარაშენი.

გერმანიის არმიის მთავარ სარდლობაში ცნობა მოვიდა: „ატყვე წამოვიყვანეთ 40 ლატვილი წითელარმიელი“.

ამ ციფრმა შემდეგი მეტამორფოზა განიცადა: 40 ნოლის მიმბატებით 400 გახდა, ხოლო კიდევ ნოლის მიმბატებით 4000. მეორე დღეს ფაშისტური პრესა იუწყებოდა: „ატყველ წამოვიყვანეთ 4000 წითელარმიელი“. „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცისიო“ ნათქვამია. რას იზამთ?

ფაშისტებს იმდენად უყვარს „00“, რომ იქიდან ფეხის გადადგმას არ აპირებენ.

სუჰარი



2.

და მართლაც უხევეა.

ისრუები

„ფიზიკაში“

გერმანელი ფაშისტები ეზარულ საფრთხედ თვლიან არაჩიოლ სამეცნიერო დაწესებულებებით სარგებლობას. გერმანელმა ფაშისტებმა ჩეს სტუდენტებს და პროფესორებს ავტორიტეტის საფრთხე მიუბოძებინებენ.

გაზეთებიდან.

სკუთარ დღეშივე „გერმანია“ იბრუნდნენ სიფრთხის“ შედეგად. „აუღატურის“ მხსნელად იღას თლიან, — კულტურის ტარებს მკეტავენ.

კვლავ რითღა ბარდნი გუბებდად

გერმანელ ფაშისტების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გახსნულა საპნის შოგენა.

საპნის გაქრობით პოლ შეტელს გულს უფრთობს შიში, ვინგანი, კვლავ რითღა განდენენ ზუგებდად იმისი დაპირებანი?!

„მხსნელში“

ჩეხო-სლოვაკიიდან 300.000 ჩეხი წაიყვანეს გერმანიაში იძულებითი შრომისათვის.

აიღოვ პიტლერი ევროპის ხალხებს „ახალ წესრიგით აქედნიერებს“ და საკატორღო სამუშაოსთვის მისებს აიყვანს მშობლიურ კერებს.

ნახ. გ. ლომიძისა.

ლაზიკი



„ბავასიონლმა“

მოქმედი არმიის ერთ-ერთი სამხარეთლოს მახლობლად მდებარე პარაშუტისტთა დისანტი გადმოსხმა. მხარეთლებმა მოიგერიეს პარაშუტისტთა იერიში და ხელნართულ შრომისში ხაზით მიიკლეს 4 დღეგრძელა.

ბავასიონლი, მშვიტ-მწყურვანი, რის მტრისაგან ეტეხდნენ ნადავლად, — აცხებულ მტრეთა შორის ვერ მოივებო რთულში“ შეტოქსს, ვადღობს იო შეშინების წინა საღამურის წარჩულად ახლოს, კეთს პირად — მოცუფად მშვიტ კოფაქებს, პარამენმა საჭმელის ტიპობად გაადფრინდნენ პარაშუტისტთა, იგორც ხვადები ჩასაფრდნენ ტყეში, ამ მთი ჩავდოთ საწარედლო. — მიეღებს საჭმელი ხელში.

დროს ქვაბებში იზარუნებდა კეობდობდა საჭმელი ცხელი, ართულებმა მტერს რა შეუღებდნენ ვიანტრევევსა დატარებს ხელი. კენა ბრძოლა მწარედუღებმა მიიკარეს ახლოს ისტურებში“ — მწარედლო გაფრინდეს უხვი სასიამოლობისის“ დანამეურებში.

მიზნარლი

„მარცვა-გულეტი გერმანიის არმიის მივისთავად წაიპაღდნენ დაცანობებულ მოვლენას. (პრავდა).“



„ფაშისტბი ბენეარალი“ — ეფრეიტორ ვალთ სიფელ მ-ს დასაჯერავად, გასტრონომიული მალაზიკა, რამდენი ბაქტერია თირკეული?

მაშად თქვენი ნაწილით წახრამდენი სავალანტერიო და ბეზია და აქეთ თუ არა მათ

„ეგის მთავრობა ნამდვილად წარმადგენს ვარა-მანელ დამპყრობელთა ნების აღმართლებს ტყვე-ნას“.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ისაყვისა



— რის მაქნისი ხარ შენ? ძროხა არ გეუწოდებდა, ქათამი არ გყავს და გოკო, პური და კარტოფლი... მართლაც ფეხების ბანისთვის გითმინი ამ ვიშნის?..“

სალაქო ანაზაზი

1. „აგრე არ უნდა თაკაო, შენ რომ მამული გააო“ — მსუნავო მგვლო მიგინდა ევროპის ხალხთა დაფერო, მებარს სიფე არი შეტარებს, ჩამიწებს შენი ხახაო.

2. ბალაქია გაღვივდენ ეთო მთვდა ბოლოკაო, ვირო იმას არ ფიქრობდა, რა მოვდა ბოლოკაო.

უარესი მოვლენის ჩვენს ბოსტანში იმ ღორსაო, იმდენად რომ დღეს სისხლს ვადენო, იქვე ეფრთხითი ორბოსაო.

არ დივიწებს ინდაზას ფაშისტის სისხლის მწოველი: „გარდამხდა გარდასავლი, აწ უარესსა მივედი“.

სან —

უფსკრულისაკი

„ბულგარეთმა თავისი სამხედრო სახლეო ბაზები ფაშისტ აგრესორებს დაუთმო“.

ნახ. მ. ოთაროვისა

გაზეთებიდან



ფაშისტური კომპანიათა უფსკრულისაკენ.



— მე ვიპოვე გზა, რომლითაც შეიძლება მივიდეთ საბჭოთა საზღვართან.  
— ეს არ კმარა: სასწრაფოდ იპოვეთ გზა, რომლითაც შესაძლებელი იქნება იქიდან თავის დაღწევა.



თევზაობიდან ხელბარაქიანად დაბრუნდნენ.

**მარიკო** — დარო, ქალო, დარიკო!  
 მოდი ჩქარა დამხმარე!  
 სად ხარ, სად დამხმარე?!  
 მთელი დილა დაგეძებ!..

**დარიკო** — რაა, ქალო, რა იყო?  
 რამე ხომ არ მომხდარა?!

**მარიკო** — ვაი ჩვენს დღეს! სტამბოლში  
 თურქეთი გადმომხტარა.  
 დარდაწული თათრისთვის  
 ბოსფორს წაურთმევია!  
 შიშისაგან აღარ ვარ,  
 ყალბზე მიდგას თმებია!

**დარიკო** — ეს რა არის?! მე წუხელ  
 იცი, რა მოვისმინე?!  
 დარდისაგან ვგიჟდები,  
 ღამე ვერ დავიძინე:  
 ნიაგარას ჩანჩქერმა —  
 ვერაგულად, უცბადა  
 თურმე უცბად, ქურდულად  
 ომი გამოგვიცხადა.

**მარიკო** — მართლა, უი ჩემს თვალებს,  
 ახლა ის წაგვეკიდა?!  
 ნეტავი მაკარონი  
 დროზე ბევრი მეყიდა!!

**დარიკო** — იცი, მარო, რასა ვთხოვ?  
 დღეს რიგში ვერ მიშველი?  
 მინდა მეც დავაგროვო  
 ბრინჯი და ვერმიშელი!

**მარიკო** — ბეჩა, რას მეუბნები,  
 აბა როგორ გიშველო?!  
 მაშინ მე უნდა დავრჩე,  
 ქალო, უვერმიშელოდ!  
 წამო, რაღას უყურებ?!  
 დავიკაოთ რიგები!  
 მე შენს უკან, შენ ჩემს წინ,  
 ორივე ერთად ვიდგებით!..

ეპილოგი

ჩადგნენ რიგში და ლაუბობას  
 კვლავ უმატეს, არ თუ უკლეს, —  
 შენიშნეს და... ხუთ-ხუთი წლით  
 სადაც ჯერ არს თავი უკრეს.

ი. სინარულიძე

„გულადი განჯისკაბი“

ასე უწოდებდნენ ფაშისტები თავის „გმი-  
 რებს“, რომლებმაც ადვილად გაიარეს გერ-  
 მანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნები.

„გულადი ტანკისტების“ კოლონა ღამით  
 წინ მიიწვედა.

— ჩვენი შეჩერება შეუძლებელია.—ტრა-  
 ბახობდა ერთი კოლონის უფროსი.



— ჩვენ უძლეველნი ვართ, — უდასტუ-  
 რებდა მეორე კოლონის სარდალი.

— პირდაპირ მოსკოვისაკენ! — გასცა გან-  
 კარგულება ეკიპაჟის მეთაურმა. კოლონის  
 რამოდენიმე ათეული ტანკი რიგრიგობით  
 გადაეშვენ „მგლის ორმოებში“. მათგან  
 მხოლოდ ლითონის ნამსხვრევები და ფერ-  
 ფლი დარჩა.

მეორე დღეს წითელარმიელთა მოწინავე  
 ნაწილებმა წითელი პარტიზანების მიერ  
 ჯოხზე მიკრული წარწერა წაიკითხეს: „აქ  
 განისვენებს „გულადი ტანკისტების“ უძლე-  
 ველი კოლონა“.

კ. ზ ლი

„ფინელი გენერლები აღშფოთებული არიან იმის გამო, რომ გერმანელებმა ისინი ფაქტიურად გადააყენეს რატიონულ ხელმძღვანელობიდან და საკუთარ შტაბებში ისინი ასრულებენ ავეჯის როლს.“



— ჰერ პოლკოვნიკ, რატომ არ ჯდებით მაგ სავარძელში? ფინური სისტემისაა.  
— ერთობ დანჯღრეული დგამია, ჰერ ლენერალო, არ აჯობებს, ეს ხარახურა მთლიანად გადავაყრევინოთ და შტაბში არიული ავეჯი დავდგათ?

### კაპიტვის სჯეჲან

„რამდენიმე ხნის წინათ გერმანულმა გაზეთმა „დანიცელ ფოლკ-შტიმმემ“ მოათავსა სასამართლოს ანგარიში ჰამბურგელ მეზღვაურის ოტტო შნიცეს დასჯის შესახებ იმის გამო, რომ მას გასინჯვის დროს ექიმმა აღმოუჩინა ზურგის ქვევით დახატული ფაშისტ ბელადების სურათები.“

გაზეთებიდან

ჰამბურგელი მოქალაქე მეზღვაური ოტტო შნიცე ტანმკვრივია მკერდნაბურთი, ჯანსაღი და სულით მტკიცე

მაგრამ ერთხელ ავად გახდა და ექიმთან გაემართა მკურნალის წინ ტანსაცმელი გაიხადა ოტტომ მარდათ.

გაუშინა ოტტოს დინჯად ნაწლავები, მკერდი, გული, ხან ახგნეშეს, ხან ამოთქმა დაავალეს დინჯად სულის,

ბოლოს — „ზურგით მობრუნდითო“ — თქვა ექიმმა დინჯი ტონით — ზურგით? არა!.. არ გჭირდებათ... მე სავსე ვარ ჯანით, ღონით...

ძლივს წარმოსთქვა ოტტომ და თან აეწითლა უცებ სახე, თითქოს იგრძნო, რომ ბედისგან ეგებოდა ჰაბუქს მახე.

— გთხოვთ მობრუნდით! — თქვა ექიმმა. — ნუ მაყოვნებთ, დრო მიცდება! — ნუ სწუნდებით, ზურგს არ ვიტყენ! — ძლივს თქვა ოტტოს ზაგებმა.

მაგრამ ბოლოს რაკი ხვეწნა ოტტოსათვის დარჩა ურგი, მეზღვაურმა ექიმისკენ შეაბრუნა თავის ზურგი.

მკურნალს ტანი გაუშეშდა, მოდუნდა და დარჩა სახტად, ოტტოს ზურგქვეშ რბილ ადგილის მთელი სივრცე მოგზადა.

და „იმ ადგილს უბატურს“, ვით თანმხლები მოინახე ამშვენებდა ფაშისტების ბელადების „წმიდა“ სახე.

\* \*

გონს მოვიდა წამს მკურნალი, — ნაცისტების მომხრე ძია, აწკარუნდა ტელეფონი, ხელად გაჩნდა პოლიცია.

წაიყვანეს გაბაწრული, მისცეს ოტტო სამართალში იმისთვის, რომ ის ბელადებს ამცირებდა ხალხის თვალში.

თუმც რბილ ადგილს სამოსის ქვეშ ხალხის თვალი ვერ ხედავდა, და „საყვარელ ბელადების“ სახეს ტრიკო იხანავდა,

მაგრამ ოტტოს საქციელი იცნეს ფარულ პროპაგანდათ, ამოდადეს პორტრეტები და ციხეშიც დიდხანს ყავდათ.

ყავდათ და ყავთ დამწუვდეული განა ერთი? განა ათი? მაგრამ კმარა... ერთი დასკვნით დავამთავროთ მასლაათი:

ხელოვნებას ფაშისტები ისე დიდად „აფასებენ“, რომ მასები მათ პორტრეტებს რბილ ადგილზე ათავსებენ.

დავითა

### გული გულს იხნობს

ანუ

გერმანულ და რუმინულ ჭურღებისა, განდიტებისა და კაცის მკვლელების წერილი ჰიტლერსა და რუმინეთის გენერალ ანტონესკუს.

ყაჩაღთა მეთაურნო და ქურდების მფარველნო!

გავიგეთ და წავიკითხეთ თქვენი მოწოდება, რომელიც გვავალებს ვიბრძოლოთ ფაშისტების საკეთილდღეოდ. აღფრთოვანებით შევხვდით, რასაკვირველია, ამ ამბავს. მართალია, მშვიდობიანობის დროს ჩვენს პროფესიას არ ჰქონდა ვასავალი, მაგრამ რაც თქვენ მოეჩეცით ქვეყანას სათავეში, აყვავდა და გაიფურჩქნა ქურდობა, მკვლელობა და მძარცველობა. დღეს ხომ იგი უადრესად საჭიროა და მზად ვართ ვემსახუროთ როგორც თქვენს, ისე ჩვენს საქმესაც ჩვენი საერთო ჯიბის საკეთილდღეოდ.

შევერვით თუ არა ძმურ ფაშისტურ რიგებში ვეცდებით ავითვისოთ თქვენი ზნეჩვეულებანი, ე. ი. პირწმინდად ვძარცვოთ ზურგში მოსახლეობა, ვხოცოთ უიარაღო ხალხი (რადგან იარაღიანის მოკვლა ცოტა ძნელი იქნება), ვარბიოთ მშვიდობიან მცხოვრებთა ბინები, არ დავზოგოთ დახოცილ მეომართა ჯიბეები, ჩვენი იყოს, გინდ სხვისი და ასე შემდეგ.

ვინაიდან თქვენ სასმელ-საქმელი და ამუნციო-არ მოგებოებთ, ამიტომ ნუ შეწუნდებით ასეთებზე, ჩვენ მას ვიშოვით ოკუპირებულ ადგილებში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი და თქვენი ამხანაგების დახმარებით, ამ საღვთო საქმეს — კეთილსინდისიერ ხოცვა-ჟლეტას და პატიოსან ძარცვა-გლეჯას კეთილად დავამთავრებთ. დავშთებით თქვენი ერთგული და მარად შეფიცულები.

სულთამხუთავთა ბათალიონის მოხალისენი.

მინაწერი: მოგვიკითხეთ ჩვენი საპატიო მეგობარი და ძმა ბენიტო მუსოლინი. გავიგეთ, რალაც ახალი სისტემა გამოუგონია ჩვენი პროფესიის დარგში სამმაგი ძარცვა-გლეჯის კანონი. ძალიან გესურდა ეგ კანონიც შეგვესწავლა და გავემდიდრებინა ჩვენი მუშაობა. ალბად მაგასაც შეეძლებოდა.

ს. მ. მ.

ეს წერილი ხელში ჩაიგდო და ნიანგს წარუდგინა დონ-კაედრომ.

91-322  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



1) ასეთი პოზით ხვდებიან ერთმანეთს „მესამე იმპერიის უძლეველი“ მხედრები.



2) მაგრამ ასე იცვლიან ისინი პოზას წითელი არმიის მამაც მებრძოლებთან შეხვედრის დროს.